ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

# კითხვები და პასუხები

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

# კითხვები
# და
# პასუხები

ეს კითხვები და პასუხები სასამართლოს სამდივნოს მიერ არის მომზადებული. დოკუმენტი სამართლებრივად არ ბოჭავს სასამართლოს.

იგი სასამართლოს მუშაობის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მიწოდებას ემსახურება.

დეტალური ინფორმაციისთვის, მიგითითებთ სამდივნოს მიერ გამოცემულ დოკუმენტებზე (ისინი მოიპოვება სასამართლოს ინტერნეტ გვერდზე: წწწ.ეცჰრ.ცოე.ინტ) და კონკრეტულად, სასამართლოს რეგლამენტზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
Council of Europe
67075 Strasbourg cedex
France
www.echr.coe.int

## რას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საერთაშორისო სასამართლოა, რომელსაც სტრასბურგში უდევს ბინა. სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეების რაოდენობა ტოლია ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოებისა, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანი უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია. ამჟამად მოსამართლეთა რაოდენობა ორმოცდაექვსია[1]. მოსამართლეები დამოუკიდებლად მოქმედებენ - ისინი არ წარმოადგენენ ამა თუ იმ სახელმწიფოს. საჩივრების განხილვაში სასამართლოს დახმარებას უწევს სამდივნო, რომლის შემადგენლობაში შედიან იურისტები ყველა წევრი სახელმწიფოდან (მათ ასევე იურისტ რეფერენტებსაც უწოდებენ). საკუთარი წარმოშობის ქვეყნებზე არც ეს იურისტები არიან დამოკიდებულნი - ისინი არც მომჩივნებს წარმოადგენენ და არც სახელმწიფოებს.

## რას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია?

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომლის ხელმოწერა მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ. კონვენციაში, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბებულია სასამართლო და განსაზღვრულია მისი მუშაობის მექანიზმი, ჩამოთვლილია ის უფლებები და გარანტიები, რომელთა დაცვის ვალდებულება იკისრეს ხელისმომწერმა სახელმწიფოებმა.

1 კონვენციის ყველა ოქმი (ანუ დოკუმენტი, რომელიც დამატებით უფლებებს აწესებს) ყველა სახელმწიფოს არა აქვს რატიფიცირებული. ამ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე შეგიძლიათ იხილოთ.

## რას აკეთებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო?

სასამართლო მეთვალყურეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესრულებას. მისი ამოცანაა, უზრუნველყოს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა დაიცვან კონვენციაში განსაზღვრული უფლებები და გარანტიები. იგი შეისწავლის კერძო პირების ან ზოგჯერ, სახელმწიფოების მიერ შემოტანილ მოთხოვნებს (ანუ „საჩივრებს“). როდესაც სასამართლო აღმოაჩენს, რომ წევრმა სახელმწიფომ დაარღვია კონვენციაში გათვალისწინებული ერთი ან მეტი უფლება თუ გარანტია, მას გამოაქვს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებას სავალდებულო ხასიათი აქვს: შესაბამისი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება.

## რა შემთხვევაში შემიძლია მივმართო ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

სასამართლოში საჩივრის შეტანა იმ შემთხვევაში შეგიძლიათ, თუ [illegible] დაირღვა თქვენი უფლება თუ გარანტია, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციით ან მისი ოქმებით, და დარღვევა ჩაიდინა ერთ-ერთმა იმ სახელმწიფოთაგან, რომელნიც შებოჭილნი არიან კონვენციით.

### რა და რა უფლებებია დაცული კონვენციით და მისი ოქმებით?

კონვენცია იცავს შემდეგ უფლებებს:

- სიცოცხლის უფლებას;
- სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების სამართლიანი განხილვის უფლებას;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას;
- გამოხატვის თავიუფლებას;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას;
- ქმედითი მისაგებლის/შიდასამართლებრივი დაცვის საშუალების უფლებას;
- საკუთრების მშვიდად ფლობის უფლებას;
- არჩევნებში ხმის მიცემისა და საკუთარი კანდიდატურის დაყენების უფლებას.

### რა იკრძალება კონვენციით და მისი ოქმებით?

კონვენცია კრძალავს:

- წამებას და არაადამიანურ თუ დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს;
- ადამიანის თვითნებურ და უკანონო დაკავებას;
- დისკრიმინაციას კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას;
- სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეების გაძევებას ან მათთვის ქვეყანაში შესვლის აკრძალვას;
- სიკვდილით დასჯას; და
- უცხოელების ჯგუფურ გაძევებას.

## რა პირობებს უნდა ვაკმაყოფილებდე სასამართლოში საჩივრის შესატანად?

პირადად მე რა [illegible]

- არ არის აუცილებელი, რომ ევროპის საბჭოს რომელიმე წევრი სახელმწიფოს მოქალაქე იყოთ. ის დარღვევა, რომელთან დაკავშირებითაც საჩივარი შეგაქვთ, ჩადენილი უნდა იყოს ერთ-ერთი იმ სახელმწიფოს მიერ, რომელსაც აკისრია კონვენციის შესრულება, თავის „იურისდიქციაში“, რაც, ჩვეულებრივ, მის

ტერიტორიას გულისხმობს.

- თქვენ შეიძლება იყოთ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი, მაგალითად, კომპანია ან ასოციაცია.
- თქვენ პირადად და უშუალოდ უნდა იყოთ მსხვერპლი იმ დარღვევისა, რომელთან დაკავშირებითაც საჩივარი შეგაქვთ. თქვენ ვერ შეიტანთ ზოგად საჩივარს ამა თუ იმ კანონთან თუ ზომასთან დაკავშირებით იმის გამო, რომ ისინი უსამართლო გეჩვენებათ; ვერც სხვა პირთა სახელით იჩივლებთ (გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მათი ვინაობა გაცხადებულია და თქვენ მათი ოფიციალური წარმომადგენელი ბრძანდებით).

## არსებობს თუ არა რაიმე ისეთი პირობები, რომლებიც საჩივრის შეტანამდე ქვეყნის სასამართლოში უნდა შესრულდეს?

- დიახ. დარღვევის ჩამდენ სახელმწიფოში თქვენ გამოყენებული უნდა გქონდეთ ყველა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლითაც შესაძლებელია თქვენს საჩივარში მითითებული სიტუაციის გამოსწორება (ჩვეულებრივ ეს ნიშნავს შესაბამისი სასამართლოსთვის მიმართვას, საჭიროების შემთხვევაში აპელაციას და შემდგომ აპელაციას კიდევ უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოში, როგორიც არის უზენაესი ან საკონსტიტუციო სასამართლო (მისი არსებობის შემთხვევაში).
- მხოლოდ შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენება საკმარისი არ არის. მათი გამოყენებისას თქვენ უნდა გქონდეთ წამოჭრილი კონვენციით დაცული თქვენი უფლებების დარღვევის ის საკითხები, რომლებთან დაკავშირებითაც ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეგაქვთ(ე.ი. შინაარსობრივად უნდა იდავოთ კონვენციით გარანტირებული უფლების დარღვევის შესახებ).
- საჩივრის შესატანად შიდასამართლებრივ დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დღიდან (ჩვეულებრივ, ყველაზე მაღალი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან) მხოლოდ ოთხი თვე გაქვთ. ამ დროის გასვლის შემდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ვერ მიიღებს თქვენს საჩივარს.

## ვის წინააღმდეგ შემიძლია საჩივრის შეტანა?

- ერთი ან მეტი ისეთი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც აკისრია კონვენციის შესრულება და რომელმაც, თქვენი აზრით (თავისი ერთი ან მეტი ისეთი მოქმედებით თუ უმოქმედობით, რომელმაც თქვენზე უშუალო ზემოქმედება მოახდინა), დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.
- ის მოქმედება თუ უმოქმედობა, რომელთან დაკავშირებითაც ჩივით, განხორციელებული უნდა იყოს ამ სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ერთი ან მეტი უწყების მიერ (მაგალითად, სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ).
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ განიხილავს ფიზიკური პირების თუ კერძო დაწესებულებების (როგორიც არის, მაგალითად, კომერციული კომპანიები) წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებს.

## რას შეიძლება ეხებოდეს ჩემი საჩივარი?

- თქვენი საჩივარი უნდა ეხებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უფლებას. ნაგულვები დარღვევები შეიძლება უკავშირდებოდეს საკითხთა ფართო სპექტრს, როგორიც არის, მაგალითად: დაპატიმრებულ პირთა წამება და მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა; დაკავების კანონიერება; სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეებში არსებული ნაკლოვანებები; დისკრიმინაცია კონვენციით გათვალისწინებული ერთ-ერთი უფლების გამოყენებისას; სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებულ ბავშვთა მშობლების უფლებები; საცხოვრებლისა და კორესპონდენციის პატივისცემა; შეზღუდვები აზრის გამოხატვაში ან ინფორმაციის გადაცემასა თუ მიღებაში; შეკრებებსა თუ დემონსტრაციაში მონაწილეობის თავისუფლება; გაძევება და ექსტრადიცია; საკუთრების ჩამორთმევა და ექსპროპრიაცია;

- თქვენ არ შეგიძლიათ იჩივლოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გარდა სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტის დარღვევის

შესახებ; მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ან ფუნდამენტური უფლებების ქარტიის დარღვევის შესახებ.

## როგორ უნდა მივმართო სასამართლოს, თუ მიმაჩნია, რომ დაირღვა კონვენციით გათვალისწინებული ჩემი უფლებები?

სასამართლოს უნდა გაუგზავნოთ წერილი, რომელშიც დაწვრილებით მიუთითებთ თქვენი საჩივრის არსს, ანდა უნდა შეავსოთ საჩივარის ფორმა[2] და გაგზავნოთ ის შემდეგ მისამართზე:

**The Registrar**
**European Court of Human Rights**
**Council of Europe**
**67075 Strasbourg cedex**
**France**

- საჩივარი შეგიძლიათ წარადგინოთ სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად), ანდა რომელიმე იმ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რომელსაც რატიფიცირებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.
- თუ საჩივარს ფაქსის საშუალებით წარადგენთ, ფოსტით უნდა გააგზავნოთ, ასევე, წერილობითი დედანიც.
- ნუ ჩამოხვალთ სტრასბურგში თქვენი საქმის თავად მოსათხრობად. ამ შემთხვევაში თქვენი საქმე უფრო სწრაფად არ განიხილება და არც იურიდიულ კონსულტაციას მიიღებთ.
- სამდივნოში შეიძლება მოგთხოვონ თქვენს საჩივართან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტების, ინფორმაციისა თუ ახსნა-განმარტების წარმოდგენა.

2 საჩივრის ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე.



- თუ ხელთა გაქვთ საჩივრის ფორმის ასლი, ყურადღებით და გარკვევით უნდა შეავსოთ იგი და რაც შეიძლება სწრაფად გააგზავნოთ. საჩივარში მითითებული უნდა იყოს:
  - ფაქტებისა და თქვენი მოთხოვნების მოკლე შეჯამება;
  - კონვენციით გათვალისწინებული ის უფლებები, რომლებიც, თქვენი აზრით, დაირღვა;
  - ის შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებსაც უკვე მიმართეთ;
  - თქვენს საქმესთან დაკავშირებით ყველა მონაწილე საჯარო უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები (ეს დოკუმენტები არ დაგიბრუნდებათ, ამიტომ გამოაგზავნეთ მხოლოდ ასლები); და
  - თქვენი, როგორც განმცხადებლის, ან თქვენი წარმომადგენლის ხელმოწერა.
- თუ არ გსურთ თქვენი ვინაობის გამჟღავნება, დაუყოვნებლივ შეატყობინეთ ამის შესახებ სასამართლოს და მიუთითეთ მიზეზები. პრეზიდენტი თავად გადაწყვეტს გამართლებულია თუ არა თქვენი თხოვნა.
- საქმის წარმოების ამ ეტაპზე არ არის საჭირო, ადვოკატმა წარმოგადგინოთ. თუ მაინც გსურთ, რომ სასამართლოში საჩივარი წარმომადგენლის მეშვეობით შეიტანოთ, საჩივრის ფორმასთან ერთად უნდა გამოაგზავნოთ ოფიციალური, ხელმოწერილი რწმუნება, რომ ამ ადამიანს თქვენი სახელით მოქმედება შეუძლია.

### რა არის სასამართლოში საქმის წარმოების ძირითადი თვისებები?

- საქმის წარმოება წერილობითია. საქმეების საჯარო განხილვა მხოლოდ იშვიათ, განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება და, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით შეგატყობინებენ.
- თქვენი საქმე უფასოდ განიხილება.
- საქმის წარმოების პირველ ეტაპზე არ გჭირდებათ ადვოკატი, მაგრამ იგი დაგჭირდებათ მას შემდეგ რაც სასამართლო თქვენი საჩივრის შესახებ მთავრობას აცნობებს. თუმცა, საჩივართა უმეტესობა

მიუღებლად ცხადდება მთავრობისათვის შეტყობინების გარეშე.

- ☞ თქვენ მხოლოდსაკუთარი ხარჯების (როგორიც არის, მაგალითად, ადვოკატის ჰონორარი ან მოკვლევასთან და კორესპონდენციასთან დაკავშირებული ხარჯები) ანაზღაურება მოგიწევთ;
- ☞ საჩივრის შეტანის შემდეგ შეგიძლიათ ითხოვოთ იურიდიული დახმარება. იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა არ ხდება ავტომატურად და დაუყოვნებლივ; ეს დახმარება საქმის წარმოების გვიანდელ ეტაპზე გაგეწევათ.

## როგორია საქმის წარმოების ძირითადი ეტაპები?

- ☞ პირველ რიგში სასამართლომ უნდა განიხილოს, მისაღებია თუ არა თქვენი საჩივარი. ეს ნიშნავს, რომ საქმე უნდა შეესაბამებოდეს კონვენციაში ჩამოყალიბებულ გარკვეულ მოთხოვნებს. თუ ეს პირობები არ შესრულდა, თქვენი საჩივარი არ მიიღება. თუ რამდენიმე საჩივარი გაქვთ შეტანილი, შესაძლებელია, რომ სასამართლომ ერთი ან მეტი მათგანი მისაღებად მიიჩნიოს, სხვები კი უარყოს.
- ☞ თქვენი საჩივრის ან ერთ-ერთი საჩივრის მიუღებლად ცნობის შესახებ განჩინება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.
- ☞ თუ თქვენი საჩივარი ან ერთ-ერთი მოთხოვნა მისაღებად იქნება მიჩნეული, სასამართლო მოუწოდებს მხარეებს (თქვენ და იმ სახელმწიფოს, რომლის წინააღმდეგაც შეტანილი გაქვთ საჩივარი) მორიგებისაკენ. ორივე მხარეს მოუწოდებენ, მიაღწიონ შეთანხმებას საქმესთან დაკავშირებით. თუ მორიგება ვერ მოხერხდება, სასამართლო განიხილავს საქმის არსს, – ანუ გადაწყვეტს დაირღვა თუ არა კონვენცია.

## რამდენ ხანს მომიწევს ლოდინი?

საქმეთა მოზღვავების გათვალისწინებით, შესაძლოა, მოგიწიოთ ერთი წელი დალოდება, სანამ სასამართლო თქვენი საჩივრის თავდაპირველ განხილვას მოახერხებდეს. ზოგიერთი საჩივარი შეიძლება სასწრაფოდ იქნეს მიჩნეული და მის განხილვას პრიორიტეტი მიენიჭოს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნულია, რომ მომჩივანს ფიზიკური საფრთხე ემუქრება.



## რას შეიძლება ველოდე ჩემი საჩივრის განხილვის შედეგად?

თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენცია დაირღვა, მას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება „სამართლიანი დაკმაყოფილების" შესახებ. ეს არის ფულადი თანხა ზიანის გარკვეული ფორმების საკომპენსაციოდ. გარდა ამისა, სასამართლომ შეიძლება მოსთხოვოს კონვენციის დამრღვევ სახელმწიფოს, აგინაზღაუროთ საქმის წარდგენის პროცესში გაწეული ხარჯები. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ დარღვევას არ ჰქონია ადგილი, თქვენ არ მოგიწევთ დამატებითი ხარჯების (როგორიც არის, მაგალითად, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ გაღებული ხარჯები) გაწევა.

### გთხოვთ, გაითვალისწინოთ:

- ☞ სასამართლო არ არის უფლებამოსილი, გააუქმოს შიდასახელმწიფო გადაწყვეტილებები ან კანონები.
- ☞ სასამართლო არ აგებს პასუხს მისი გადაწყვეტილების აღსრულებაზე. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ პასუხისმგებლობა ეკისრება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს[3], რომლის ამოცანაა, მეთვალყურეობა გაუწიოს გადაწყვეტილების აღსრულებას და უზრუნველყოს ნებისმიერი კომპენსაციის გადახდა.

3 მინისტრთა კომიტეტი შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისგან ან მათი წარმომადგენლებისგან.

## რისი გაკეთება არ შეუძლია ჩვენთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს?

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ წარმოადგენს [illegible] არ შეუძლია საქმეების ხელახლა მოსმენა, ან სასამართლოების გადაწყვეტილებათა გაუქმება, შეცვლა თუ გადასინჯვა.
- სასამართლო უშუალოდ არ გიშუამდგომლებთ ხელისუფლების იმ ორგანოსთან, რომლის წინააღმდეგაც საჩივარი გაქვთ შეტანილი. თუმცა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც მომჩივნის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრება, სასამართლომ შეიძლება შუამდგომლობა გაუწიოს მომჩივანს, დროებითი ღონისძიებების გამოყენებით.
- სასამართლო არ დაგეხმარებათ თქვენი საჩივრის შესადგენად იურისტის პოვნაში თუ მისთვის ჰონორარის გადახდაში.
- სასამართლოს არ შეუძლია მოგაწოდოთ რაიმე ინფორმაცია იმ სახელმწიფოში მოქმედი სამართლებრივი დებულებების თაობაზე, რომლის წინააღმდეგაც საჩივარია მიმართული.

# კითხვები და პასუხები

European Court of Human Rights
Council of Europe
67075 Strasbourg cedex
France

www.echr.coe.int

Design: © ECHR - Photo: © Shutterstock

KAT